



**განაცხადი 100 და მეტი საერთო ტევადობის გემის ეკიპაჟის მინიმალური უსაფრთხო რაოდენობით
დაკომპლექტების მოწმობის მიღებისათვის**

გემთმფლობელის / ოპერატორის დასახელება და საკონტაქტო მონაცემები, კომპანიის IMO N: ელ.ფოსტა: _____ ტელ: _____	გემის სახელი:
	გემის IMO N:
	გემის რეგ.ნომერი:
	რეგისტრული ტონა (GT):
	გემის ტიპი:
	ნაოსნობის რაიონი:

აღიარებული ორგანიზაცია: (EMSA) ___ABS; ___BV; ___CCS; ___CRS; ___DNV-GI; ___IRS; ___KR; ___LR; ___NK; ___PRS; ___RINA; ___RS;

აღიარებული ორგანიზაცია: (შიდა ნაოსნობისთვის) ___ML; ___GV; ___BSSR;

გემის ძრავის მახასიათებლები

მთავარი ძრავის ტიპი:	
თითოეული ძრავის სიმძლავრე (KW / კვ.ტ): საერთო	საერთო სიმძლავრე (KW / კვ.ტ):
ავტომატიზირებული სამანქანე განყოფილება: დიახ ან არა	
მიუთითეთ კლასის შენიშვნები (უვახტო, ნახევრად უვახტო ან სამანქანე ოპერაციული ფუნქციის არსებობის შემთხვევაში)	

გემთმფლობელის მიერ წარმოდგენილი ეკიპაჟის მონაცემები

საგემბანე განყოფილება		სამანქანე განყოფილება	
თანამდებობა	რაოდენობა	თანამდებობა	რაოდენობა
კაპიტანი / შკიპერი		უფროსი მექანიკოსი	
უფროსი თანამემწე		მეორე მექანიკოსი	
სავახტო თანამემწე / შკიპერის თანამემწე		სავახტო მექანიკოსი	
მატროსი (II/5)		ელექტრო ტექნიკოს ოფიცერი	
ვახტის რიგითი (II/4)		მოტორისტი (III/5)	
მზარეული		ვახტის რიგითი (III/4)	
რიგითი მეტევზე-მეზღვაური		ელექტროს ტექნიკოს რიგითი	
სხვა(მიუთითეთ)		იახტსმენი	
სამგზავრო გემი: სამაშველო კატარღა (VI-2)		მგზავროთა უსაფრთხოება (V2)	

განმცხადებლის ხელმოწერა:

თარიღი



განცხადების წარდგინება:
სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო
გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის დეპარტამენტი
ტელ: +995 (422) 274925 (შიდა:1112/1113)
ელ.ფოსტა: fsi@mta.gov.ge
ცხელი ხაზი: +995 (577) 221622

**გემი ეკიპაჟის მინიმალური უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტების განსაზღვრის დროს
გასათვალისწინებელი პრინციპები**

ეკიპაჟმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი ძირითადი ფუნქციების შესრულება:

- გემის უსაფრთხოება და უშიშროება;
- მგზავრთა უსაფრთხოება
- ტვირთის უსაფრთხო გადატანა;
- გემის ამძრავი მექანიზმის, ელექტრომომწყობილობისა და მართვის სისტემის
- მუშა მდგომარეობის შენარჩუნება;
- მუდმივი რადიოკავშირის არსებობა;
- გემის ტექნიკური მომსახურება და გადაუდებელი რემონტი;
- გემზე ტვირთის და ბარგის უსაფრთხოება;
- ზღვაზე უსაფრთხოებისა და ზღვის გარემოს დაბინძურებისგან დაცვა;
- სამუშაო და დასვენების დროის რეჟიმის დაცვა;
- გემის უსაფრთხო ნაოსნობა და მართვა
- გემის უსაფრთხო ოპერაციები ნავსადგურში
- მეზღვაურთა კეთილდღეობის და ჯანმრთელობის უზრუნველყოფა.

გემთმფლობელის ვალდებულება:

STCW-ის კოდექსის A-I/14 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს დროშით მცურავი გემის მფლობელი, ოპერატორი ან მმართველი კომპანია, ვალდებულია უზრუნველყოს გემზე დასაქმებული ეკიპაჟის ყველა წევრის ამ რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

საქართველოს დროშით მცურავი გემის მფლობელი, ოპერატორი ან მმართველი კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს:

1. გემზე დასაქმებული თითოეული მეზღვაური საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული სათანადო სერტიფიკატებით;
2. გემზე დასაქმებულ ყველა მეზღვაურთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და მონაცემების მოწესრიგება და ხელმისაწვდომობა დროშისა და საზღვაო ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლის განმანორციელებელი პირებისათვის იმ დოკუმენტებისა და მონაცემების ჩათვლით, რომლებიც შეეხება მეზღვაურის გამოცდილებას, წვრთნას, ჯანმრთელობის მდგომარეობას და დაკისრებულ მოვალეობებთან მისი კომპეტენციის შესაბამისობას;
 - a) გემზე დასაქმებული ყველა მეზღვაურის მიერ თავიანთი უშუალო მოვალეობებისა და გემზე არსებული იმ მექანიზმების, დანადგარების, ხელსაწყოების, პროცედურებისა და გემის ტექნიკური მახასიათებლების ცოდნა, რომლებიც დაკავშირებულია ყოველდღიური საქმიანობის დროს და ავარიულ სიტუაციაში მათ მიერ შესასრულებელ მოვალეობებთან;
 - b) გემის პირადი შემადგენლობის მიერ თავიანთი მოქმედებების ეფექტიანი კოორდინირება ავარიული სიტუაციის და იმ ფუნქციათა შესრულების დროს, რომლებიც უზრუნველყოფს უსაფრთხოებას და გარემოს დაბინძურების თავიდან აცილებას;
 - c) გემზე დასაქმებული ყველა მეზღვაურის მიერ STCW კონვენციის შესაბამისად მოთხოვნილი გადამზადებისა და საწვრთნელი კურსების გავლა;
 - d) მოვალეობათა იმგვარად ორგანიზება, რომ დაღლილობის გამო არ შემცირდეს ვახტზე მდგომთა მუშაობის ეფექტიანობა;
 - e) მოვალეობათა იმგვარად ორგანიზება, რომ რეისის დაწყებისას ვახტზე მდგომი ცვლა და მისი მომდევნო ცვლა იყოს სათანადოდ დასვენებული ან/და უნარიანი მოვალეობის შესასრულებლად.

3. საგანგებო მდგომარეობის ან სასწავლო განგაშის დროს ან განსაკუთრებულ ოპერატიულ სიტუაციაში დასაშვებია, ზემოთ მოცემული „d“; „f“ და „g“ ქვეპუნქტების განსაზღვრული მოთხოვნების დაცვა.



4.

საქართველოს დროშით მცურავი გემის მფლობელი ან მმართველი კომპანია ვალდებულია, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველყოს სათანადო ზომების შემუშავება STCW-ის კოდექსის A-VIII/1 და B-VIII/1 ნაწილების შესაბამისად.

5. საქართველოს დროშით მცურავი გემის მფლობელი ან მმართველი კომპანია ვალდებულია გემზე შექმნას საკმარისი საცხოვრებელი ფართი გემის ეკიპაჟისთვის.

6 საქართველოს დროშით მცურავი გემის მფლობელი ან მმართველი კომპანია ვალდებულია შექმნას ეფექტური მექანიზმი გემის ეკიპაჟის დაკომპლექტების დონეებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საჩივრების ან დავების შესწავლისა და მოგვარების მიზნით.

7. საქართველოს დროშით მცურავი გემის მფლობელ ან მმართველ კომპანიას უფლება აქვს, დაასაქმოს დამატებითი მეზღვაურები, რომელთა რაოდენობა აღემატება ეკიპაჟის მინიმალური უსაფრთხო დაკომპლექტების მოწოდებით გათვალისწინებულ მინიმალურ მისაღებ სტანდარტს, შემდეგი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში:

- a) დამატებითი მეზღვაურებისთვის ხელმისაწვდომია შესაბამისი საცხოვრებელი ფართი;
- b) დამატებითი მეზღვაურებისთვის არსებობს საკმარისი უსაფრთხოების საშუალებები;
- c) დამატებით მეზღვაურებს ჩაუტარდათ სწავლება უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებით.

შეფასება: გემთმფლობელის მიერ წარდგენილი განაცხადი ეკიპაჟის მინიმალური უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტების მოწოდების მიღებისათვის, სააგენტოს მიერ განიხილება დაერთაშორისო და ერობნული კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით

- მე, თანახმა ვარ ზემოაღნიშნულ ფორმაში მითითებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული „პერსონალური მონაცემები“ სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ დაამუშაოს ზემოაღნიშნული კანონმდებლობის შესაბამისად საჭიროებისამებრ .
- აქვე, ხელმოწერით ვადასტურებ წინამდებარე განცხადებაში და მასთან თანდართულ ყველა დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოების უტყუარობას და ნამდვილობას, ასევე ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი ეკიპაჟის დაკომპლექტების მონაცემები შესაბამისობაშია საერთაშორისო მოთხოვნებით დარეგულირებულ მეზღვაურთა დასვენებისა და ვახტზე დგომის სავალდებულოდ გასათვალისწინებელ პირობებთან. გაცნობილი ვარ ჩემს მიერ შესასრულებელი ფუნქციებისათვის აუცილებელ საქართველოს საზღვაო კანონმდებლობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს ვაგებ აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე.

ხელმოწერა : _____

თარიღი: _____